# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-დღეების შემდეგაც.—ორშაბათი, 15 მაისი 1900 წ. № 1125

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

**ტელეფონი № 372.**

## ყოველთვიური ჟურნალი
# „მოამბე“

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად და 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად. ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ-გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.

## პარიზის გამოფენაზე წამსვლელთა საყურადღებოდ

**პარიზში ნასწავლები და ფრანგული ენის მცოდნე ქართველი** ჰკისრულობს გაჰყვეს პარიზის მსოფლიო გამოფენის ნახვის მსურველს და სათანადო დახმარება გაუწიოს გამოფენისა და თვით ქალაქის ღირსშესანიშნავ დაწესებულებათა დათვალიერების საქმეში. იგივე ჰკისრულობს იქითობას ან აქეთობას დაათვალიერებინოს ევროპის სატახტო ქალაქები.—**ადრესისა და სასყიდლის შესახებ პირობათა შეტყობა შეიძლება „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში.** (რ 0—14)

# სახალხო სეირნობა
## საქველმოქმედო ბაზრითურთ

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ დანიშნულია 25 და 26 მაისს მუშტაიდის ბაღში და თუ ვინიცობაა ამინდმა ხელი შეუშალა, იმ შემთხვევაში გადადებულ იქმნება 28 და 29 მაისისათვის. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21. (ნ. 0—36)

# ახალი ამბავი

—

✦ **მისი უდიდებულესობა სპარსეთის შაჰი მუზაფერ-ედინი** დღეს დილით, 10 საათზე, ჩამოვა ამიერ კავკასიის რკინის გზით ტფილისში.

✦ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს ოფიციალური ცნობა მოუვიდა, რომ მთავრობას არ **დაუმტკიცებია გუბერნიის მარშლად** თავ. დ. ზ. მელიქიშვილი, რადგანაც არჩევნების ფორმალური მოთხოვნილებაა დარღვეული, სახელდობრ ისა, რომ მარშლის არჩევნების დროს უთუოდ მისი კანდიდატიც უნდა იქმნას არჩეული და მთავრობას ორივე ეს არჩევნები უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად.

ხელმეორედ არჩევნების მოხდენისათვის მალე საგანგებო კრება იქნება მოწვეული.

✦ კავკასიის მთავარ-მართებელს **დაუმტკიცებია**, არჩევის თანახმად, მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლებად: ტფილისის მაზრისა—გენ.-მაიორი საგინაშვილი, გორის—თავ. ბაგრატიონ-დავითაშვილი, თელავის—თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, დუშეთის—გ. ყარანგოზიშვილი და ბორჩალოსი—ეგერმეისტერი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი; დეპუტატებად—ტფილისის მაზრისა—თულაშვილი, სიღნაღის—თავ. ანდრონიკაშვილი, გორის—თავ. დიასამიძე, თელავის თავ. ჯაფარიძე, დუშეთის—გედევანიშვილი და ბორჩალოს—შანშიევი; დეპუტატთა საკრებულოს მდივნად—ასლამაზოვი.

✦ ეს ორი კვირაა, **თავ. ილია ჭავჭავაძე** ავად არის. ეხლა თუმცა უკეთ შეიქმნა, მაგრამ, როგორც გადმოგვცეს, ექიმებმა აუკრძალეს მუშაობა და ურჩიეს რამდენიმე თვით სოფლად წასვლა და დასვენება.

✦ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, ქალაქის ექიმებმა და ქალაქის საექიმო სასანიტარო საბჭომ სასტიკი ყურადღება უნდა იქონიონ **შორაპნის მაზრიდან** მოსულ მუშებზე. პოლიციამ უნდა შეიტყოს—რომელი მუშა როდის და საიდან ჩამოვიდა და ავად ხომ არ არის. თუ შორაპნის მაზრიდან ჩამოსული გადამდებ სენით გახდა ავათ, მაშინვე უნდა გაიგზავნოს ქალაქის საავადმყოფოში ნაეთლულს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშებს ვერაზე და ქალაქის მე-6 ნაწილში, სადაც ბევრი ბაკებია.

✦ ქიათურაში (შორაპნის მაზრა) გაიგზავნა კავკასიის საექიმო ნაწილის უფროსი ბ. ფენომენოვი, რათა მიიღოს სასტიკი ზომები იქ გაჩენილ **გადამდებ სენის** მოსასპობლად.

✦ ხელმწიფე იმპერატორს უმაღლესად უბრძანებია **მიეცეს სესხად** საგანგებო თანხიდან 30.000 მანეთი ახალციხის, გორის და დუშორის მაზრების მცხოვრებთ, რომელნიც მოუსავლობამ დააზარალა.

✦ ბაქოს საოლქო სასამართლომ დამნაშავედ სცნო ბაქოს საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი ი. გ. **ჩიქვაიძე**, რომელმაც მოჰკლა შარშან საბუჰგალტერო კლასების მასწავლებელი ივ. სოკოლოვი, და მიუსაჯა მას ირკუტსკის გუბერნიაში გადასახლება.

# დეპეშები

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**ახალქალაქი, 14 მაისა.**

აქ მობძანდა მისი უდიდებულესობა სპარსეთის შაჰი მუზაფერ-ედინი, რომლისთვისაც ბინა მომზადებული იყო ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის ბ-ნ ბაქრაძის სადგურში. ბ-ნ ბაქრაძის მცირეწლოვანმა ქალმა მიართვა მისს უდიდებულესობას თაიგული. შაჰმა უბოძა ძვირფასი ბეჭედი. საღამოს 6 საათზე გამართული იყო სადარბაზო სადილი. მისს უდიდებულესობას ახალქალაქში მიეგება კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე და ტფილისის გუბერნატორი პოლკოვნიკი ი. ნ. სვეჩინი. მისი უდიდებულესობა ხვალ, 15 მაისს, დილის $5^1/_2$ საათზედ, წამობრძანდება ტფილისს.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**13 მაისა.**

**მოსკოვი.** ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ დამნაშავედ სცნო ელაგინი, რომელსაც დაჰბრალდა, რომ ცუდათ ექცეოდა და აწვალებდა ბავშვს. სასამართლომ მიუსაჯა მას ტობოლის გუბერნიაში გადასახლება და 5000 მან. ჯარიმა ბავშვის სასარგებლოდ.

**კრონშტადტი** (რუსეთში). ახლად მოსულ გემების კაპიტნები ამბობენ, რომ გოგლონდის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ გარიყულია რაღაცა გემი.

**ხარკოვი.** სახლის პატრონმა კოროლოვმა მოჰკლა თავისი ცოლი. საბრალოს დარჩა 8 ბავშვი.

**ბაქო.** ნავთის მწარმოებელთა კრებამ დაამტკიცა კომისიის მოხსენება მუშათათვის ახალშენების დაარსების შესახებ. მიღებულია მოხსენება იმის შესახებ, რომ ეს ახალშენები შეერთებულ იქმნას ნავთის საწარმოვო ადგილებთან რკინის გზით; რკინის გზის გაყვანისათვის უნდა შეიძინონ 20 დესეტინა ნავთიანი მიწა, სადაც ყოველი დესეტინა ღირს 500,000 მან.; კრებამ ასეთი დიდი ხარჯის

გალება შეუძლებლად სცნო. კომისსია კი იმ აზრის არის, რომ ახალშენები ურკინისგზოთ არ ივარგებენ.

**პრეტორია.** ოფიციალურად იტყობინებიან, რომ ინგლისელებმა დაიჭირეს ვრედსფორტი და მიდიან შნადსფორტისაკენ და ხრისტიანსაკენ. დევეტი იტყობინება ფრანკფორტიდან, რომ ორანჟეს ბურებმა ისევ დაიპყრეს გეილბრონი.

**ლონდონი.** ვრედსფორტიდან იტყობინებიან 11 მაისს, რომ ინგლისელთა წინა რაზმები სდგანან ერსტეგლუკთან, მდინარე ვაალიდან 26 მილის მანძილზედ; რობერტსი გადავა მდ. ვაალზე შაბათს, ან კვირას.

შანჰაიდან იტყობინებიან, რომ „დიდი მუშტის“ პარტიამ გაანადგურა ორი სოფელი და ამოსწყვიტა მრავალი ქრისტიანი ჩინელი. მთავრობის ჯარის სარდალმა იზინაფუმ გაგზავნა მეამბოხეთა წინააღმდეგ პოლკი, მაგრამ უკანასკნელი მეამბოხეებმა მოიმწყვდიეს და უკუაქციეს. ჯარს მოუკლეს 26 კაცი და ბევრი დაუჭრეს. ჩინეთის მთავრობამ მიჰმართა უცხოელთა ელჩებს ნოტით, რომელშიაც აცხადებს, რომ იგი მალე მოსპობს მთელს ჩინეთში „დიდი მუშტას“ პარტიას.

**პეკინი.** პიტნფუსთან „დიდის მუშტის“ მომხრეები თავს დაესხნენ ჩინეთის ცხენოსან რაზმს, მოჰკლეს პოლკოვნიკი და დასჭრეს და მოჰკლეს 70 ჯარის-კაცი.

**ვაშინგტონი.** ამერიკის ელჩს პეკინში დაევალა აცნობოს ჩინეთის მთავრობას, რომ ამერიკა თხოულობს მიღებულ იქმნას ჯეროვანი ზომები „დიდი მუშტის“ დასამშვიდებლად და ამერიკელთა ქონების დასაცველად ჩინეთში.

**კაპშტადტი.** იუწყებიან, რომ ტრანსვალის მთავრობა გამოსცემს ქაღალდის ფულს. გავლენიან ბურგერთა დეპუტაციამ ურჩია კრიუგერს დანებდი ინგლისელთაო. კრიუგერმა უპასუხა, რომ საქმე დამოკიდებულია ჯარების უფროსებზე.

**ლონდონი.** რობერტსი იტყობინება, რომ ინგლისელთა წინა რაზმები უკვე გადავიდნენ მდ. ვაალზე ქ. პარისსთან. გამილტონის რაზმი სდგას ვაჟბანგთან. მზვერავი რაზმები მიუახლოვდნენ ვილენსდრიფტს; ვაალის სამხრეთით არც ერთი ბური აღარ არის.

**ვარრეტონი.** ბურები, რომლებიც მეფკინგთან იდგნენ, შეგროვილან ქალაქის აღმოსავლეთით 70 მილის მანძილზე და ემზადებიან ინგლისელებთან შესაბრძოლებლად.

**ნიუ-კესტლი** ორანჟეს რესპუბლიკის მოხელე კოხი დანებდა ინგლისელთ. გარრისმიტის და ვრედეს ოლქებში მცხოვრებმა ბურებმა იარაღი დაჰყარეს.

**ლონდონი.** პალატა. სამხედრო მინისტრმა გამოაცხადა, რომ 12 ახალ ბატალიონის დაარსების საქმე მარჯვედ მიდის; შეგროვილია უკვე 22,000 კაცი.

14 მაისს

**ქრისტიანია.** სტორტინგმა გადასდო მილიონი კრონი ახალი მსწრაფლ სასროლ ზარბაზნებისათვის და ნახევარი მილიონი— ქრისტიანოსანდის გასამაგრებლად.

**პრეტორია.** ინგლისის ჯარები გავიდნენ მდ. ვაალის მეორე ნაპირას. ფერეინიგუნგის ხიდი ბურებმა ააფეთქეს. ბურებმა, აიღეს რა უკანვე გეილბრონი, ინგლისელებს სდევნიდნენ ეოლვეგოკამდე.

**კიევი.** ნეჟინიდან მოვიდა სწავლა-გმნათლების მინისტრი; 17 მაისს მინისტრი გაემგზავრება ჟიტომირში.

**ქრისტიანია.** მთავრობამ გადასწყვიტა სამსახურს თავი დაანებოს, რადგან ტახტის მემკვიდრემ არ დაამტკიცა უკვე შეწყნარებული კანონი, რომლის ძალით ხომალდებს გადასახადი ედება იმისდა მიხედვით, თუ თითოზე რამდენი ფუთი საქონელი დაეტევა. გადასახადი განძრახული იყო იმ ხარჯის დასაფარად, რომელიც გამოიწვია ახალი საკონსულოების დაწესებამ. საპრეზიდენტო ბიურო მიჰმართავს სტარტინგს თხოვნით მოსთხოვს მთავრობას, რომ მან უარი არა სთქვას დაამტკიცოს კანონი. სამინისტრო თანამდებობას თავს არ დაანებებს, ვიდრე მისი თხოვნა განხილული არ იქნება სტორტინგის მიერ. სახელმწიფო საბჭოს ნორ-ნორვეგიის განყოფილების წევრნი სტოკჰო მიდან მიდიან ქრისტიანიაში.

**ბუდა-პეშტი.** ავსტრიის დელეგაციაში პაპოვიჩმა განაცხადა, რომ თანამედროვე ავსტრიის დედა-აზრი არის დუნაის ხეობის პატარა ერების ფედერაცია, რომელიც შეადგენს სახემწიფოს და უზრუნველ ჰყოფს მათს არსებობას.

**პრეტორია.** ყველანი, ვიზედაც გუმანი იყო მიტანილი, რომ ვითომ აეფეთქებინათ ბელბის ზარბაზნების ქარხანა, იოჰანესბურგის სასამართლომ გაამართლა და გაანთავისუფლა.

**ბერლინი.** გაზეთი „მანჩესტერ გარდიანი“ სწერს, რომ გერმანიის მემკვიდრე პრინცი წავა ინდოეთს, რადგანაც იმპერატორს ჰსურს, მემკვიდრემ თავის თვალით ჰნახოს, როგორ განაგებს ინგლისი თავის აღმოსავლეთის პროვინციებს. გაზ. „ნორდაიტშე ალგემეინე ცაიტუნგ“-ი ამბობს, რომ ინგლისურ გაზეთის ცნობა მტკნარი სიცრუეაო.

**ბუდა-პეშტი.** ავსტრიის დელეგაცია. ბიუჯეტის განხილვის დროს გარეშე საქმეთა მინისტრმა მაუტნერმა სთქვა: ეხლანდელს სამწუხარო გარემოებაში ერთად-ერთი სასიამოვნო ამბავი ის არის, რომ ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს უცხო სახელმწიფოებთან და რომ სამთა კავშირი მტკიცედ არის დაცული. ჩეხმა პაჩაკმა ლაიწუნა გოლუხოვსკის პოლიტიკა ბალკანეთის სახელმწიფოთა შესახებ და ამტკიცებდა რომ ავსტრიას აღარა ჰყავს მეგობარი. იმპერატორის წავსლა ბერლინს სასარგებლოა მხოლოდ გერმანიისათვის, რადგან ამ გარემოებამ უნდა გააცხოველოს გერმანიის სახელი. ჩეხმა კაფტანმა სთქვა, რომ იმპერატორის წასვლამ ბერლინს, ეს ქალაქი გადააქცია ევროპის პოლიტიკის ცენტრად. ავსტრო-უნგრეთს არავითარი შიში არ უნდა ჰქონდეს რუსეთისა. ორატორი იწუნებს ავსტრი-უნგრეთის პოლიტიკას სერბიისა და ჩერნოგორიის შესახებ და აცხადებს სურვილს, რომ ავსტრია მიემხროს რუსეთს. სტრანსკი ამტკიცებს, რომ ფრანც-იოსების ბერლინში წასვლა ძალიან გაზვიადებული იყო იმათგან, ვინც ეს მოაწყო. ავსტრიის დიპლომატიას თავის დროზე უნდა შეეჩერებინა მათი მოქმედება. ავსტრო-უნგრეთის ზედგავლენა სტამბოლზედ სრულიად გაჰქრა, რასაც ამტკიცებს გისლის საქმე. დემელი ამბობს, რომ გერმანელნი ერთნაირის სიხარულით მიეკებნენ როგორც სამთა კავშირს, აგრეთვე მორიგებას რუსეთთან აღმოსავლეთის საქმეთა შესახებ და მასთან მეგობრულ განწყობილებას.

**პეტერბურგი.** „მთავრობის მოამბეში“ დაბეჭდილია შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარი 30 აპრილის თარიღით, სადაც ნათქვამია: „რადგან ავსტრიის მწვალებლობის მიმდევარნი დაარღვიეს და არ ასრულებენ 1883 წლის 3 მაისის კანონს, რომელიც განსაზღვრავს მწვალებლების უფლებათა, ამის გამო გუბერნატორებს ებრძანათ,—მიიღეთ ღონისძიება ზემო-მოყვანილის კანონის აღსასრულებლად“.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

## გამოსადევი ცნობანი

**ნიხრი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 | გ. | —10 | კ. |
| სუკი . . . . | 1 | » | —15 | კ. |
| » ცხვრისა . | » | » | — $8\frac{1}{2}$ | |
| » კამეჩისა. . | » | » | — 8 | კ. |
| » ღორისა. . | » | » | — 8 | კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 | » | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | $3\frac{1}{2}$ | » |
| » » | III | » | » | 3 | » |
| ავიკე თორნისა | I | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | $3\frac{1}{2}$ | » |
| ლავაში ჯგ. მამ. | I | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |

**ტფილისის ბაზრები:**

| გაიყიდა მაიდნებზე: | | ვოკზალზე, | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ., |
| ხორბალი საფ. | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი . . . . . . | 1 | — | 88 | — | 85 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ბზე . . . . . . | 1 | — | 28 | — | — |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 8 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი შავგილობრივი ჯიშისა 8.-დამ მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი მესაბმელი,—კამეჩი —მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., მესაბმელი— მ.


# განცხადებანი

## ვექილი

**ა. მ. ახნაზაროვი**

გადავიდა ნიკოლოზის ქუჩაზე, სახლი № 42.

დილის 8—10 საათ. და საღამ, 6—8 საათამდის. (10—5)


გამომც. ზ. გუხია.

 სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ხს. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.